

დოკუმენტი დამტკიცებულია
უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის
11 აგვისტოს №344 ბრძანებით

დოკუმენტში ცვლილებები შეტანილია
უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის
30 დეკემბრის №125 ბრძანებით, 2021
წლის 18 იანვრის №1 ბრძანებით. 20201
წლის 16 მარტის №27 ბრძანებითა და
2021 წლის 17 მაისის №71 ბრძანებით.

*შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“
პასუხისმგებლობის გადანაწილებისა
და დელეგირების წესი*

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები.....	2
მუხლი 2. რექტორი	3
მუხლი 3. ვიცე-რექტორი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით	3
მუხლი 4. ვიცე-რექტორი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით	4
მუხლი 5. ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით	4
მუხლი 6. ანგარიშვალდებულების წესი	4

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

პასუხისმგებლობის განაწილებისა და დელეგირების წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ხელმძღვანელ პირებს შორის პასუხისმგებლობის განაწილების, ანგარიშვალდებულებისა და დელეგირების პრინციპებს.

მუხლი 2. რექტორი

1. რექტორის უშუალო დაქვემდებარებაშია:

- ა) ვიცე - რექტორი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით;
- ბ) ვიცე - რექტორი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით;
- გ) ვიცე - რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით;
- დ) სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი;
- ე) მედიცინის ფაკულტეტი.
- ვ) სტრატეგიული განვითარების სამსახური;
- ზ) ფინანსური სამსახური;
- თ) ბიბლიოთეკა;
- ი) ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური;
- კ) საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მკვეტინგის სამსახური.

2. რექტორის უშუალოდ დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულები, თანამდებობის პირები საქმიანობის განხორციელებისას ანგარიშვალდებულნი არიან რექტორის წინაშე;

3. რექტორის არყოფნის შემთხვევაში, საზოგადოების პრეზიდენტის სამართლებრივი აქტით, რექტორის მოვალეობის შემსრულებლად განისაზღვრება უფლებამოსილი პირი.

მუხლი 3. ვიცე-რექტორი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით

1. სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით ვიცე-რექტორის დაქვემდებარებაშია შპს ქუთაისის უნივერსიტეტის შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:

- ა) საგამოცდო ცენტრი;
- ბ) იურიდიული სამსახური;
- გ) სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი;
- დ) ლოგისტიკის სამსახური;
- ე) ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური;
- ვ) სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური.

2. სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით ვიცე-რექტორის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით.

მუხლი 4. ვიცე-რექტორი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით

1. საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით ვიცე-რექტორის დაქვემდებარებაშია შპს ქუთაისის უნივერსიტეტის შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:

- ა) საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური;
- ბ) უცხოელ სტუდენტთა შერჩევისა და მიღების სამსახური.

2 საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით ვიცე-რექტორის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს ვიცე-რექტორი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით.

მუხლი 5. ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით

1. ხარისხის განვითარების მიმართულებით ვიცე-რექტორის დაქვემდებარებაშია შპს ქუთაისის უნივერსიტეტის შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:

- ა) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი;
- ბ) სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ ცენტრი;
- გ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

2. ხარისხის განვითარების მიმართულებით ვიცე-რექტორის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს ვიცე-რექტორი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით.

მუხლი 6. ანგარიშვალდებულების წესი

ვიცე-რექტორები, მათი საქმიანობის განხორციელებისას ანგარიშვალდებულნი არიან რექტორის წინაშე, მათ შორის, მათ დაქვემდებარებაში მყოფი უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისა და თანამდებობის პირების მიერ შესრულებულ სამუშაოზე. ვიცე-რექტორების უშუალოდ დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულები და თანამდებობის პირები მათი საქმიანობის განხორციელებისას ანგარიშვალდებულნი არიან კურატორი ვიცე-რექტორის წინაშე.